

შპს ონვეი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს ონგეი

ს/კ: 402059419

ფინანსური ანგარიშგება 2022

შპს „ონგეი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31-12-22 ლარი	31-12-21 ლარი	31-12-20 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	94,175	86,303	83,806
არამატერიალური აქტივები		2,356	2,356	1,178
სულ გრძელვადიანი აქტივები		96,531	88,659	84,984
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	770,537	638,126	907,954
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		152,968	240,037	83,001
სხვა მიმდინარე აქტივები	5	129,717	69,325	40,344
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,053,221	947,488	1,031,299
სულ აქტივები		1,149,752	1,036,147	1,116,283
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		94,372	116,868	119,456
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	1,363,795	1,315,037	1,235,165
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,458,167	1,431,905	1,354,621
სულ ვალდებულებები		1,458,167	1,431,905	1,354,621
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		251,789	256,439	256,439
გაუნაწილებელი მოგება		(560,203)	(652,197)	(494,777)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		(308,415)	(395,758)	(238,338)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,149,752	1,036,147	1,116,283

შპს ონგეი

დირექტორი: თამარ გოგოლაშვილი



შპს ონვეი

ს/კ: 402059419

ფინანსური ანგარიშგება 2022

შპს „ონვეი“

მოგება -ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	7	5,135,148	3,514,289
ამონაგების თვითღირებულება		(87,612)	(23,596)
საერთო მოგება		5,047,537	3,490,693
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,942,838)	(3,751,949)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	9	(12,705)	103,836
მოგება დაბეგვრამდე		91,994	(157,420)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		91,994	(157,420)

შპს ონვეი

დირექტორი: თამარ გოგოლაშვილი



შპს „ონვეი“

საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022

პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(2,700)	-	(2,700)
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(29,128)	(29,128)
ნაშთი - 31.12.2020	256,439	(494,777)	(238,338)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(157,420)	(157,420)
ნაშთი - 31.12.2021	256,439	(652,197)	(395,758)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(4,650)	-	(4,650)
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	91,994	91,994
ნაშთი - 31.12.2022	251,789	(560,203)	(308,415)

შპს ონვეი
დირექტორი: თამარ გოგოლაშვილი



შპს „ონგეი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ონგეი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 13/07/2017). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ყირიმის ქ. N 7

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, საფოსტო და საკურიერო მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე.

კომპანიის დირექტორი: თამარ გოგოლაშვილი (პ/ნ 01011043715)

კომპანიის მესაკუთრეები/წილის მმართველები:

თამარ გოგოლაშვილი (პ/ნ 01011043715) - 50%

გიორგი კალანდაძე (პ/ნ 01017021695) – 50%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2022	2021	2020
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040	4.0233

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება ან/და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები,

რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

შპს ონგვი

ს/კ: 402059419

ფინანსური ანგარიშგება 2022

3. ძირითადი საშუალებები

	ოჯართ აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება
პერიოდი 01/01/2019	-	-	-	-	-
შემოსვლა	-	-	14,753	8,103	27,511
ცვეთა	-	-	(61)	(53)	(4,836)
ჩამოწერა	-	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2019	-	-	14,692	8,050	22,675
პერიოდი 01/01/2020	-	-	14,692	8,050	22,675
შემოსვლა	22,073	1,102	22,940	1,886	-
ცვეთა	(331)	(17)	(3,982)	(2,277)	(3,005)
ჩამოწერა	-	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2020	21,742	1,085	33,651	7,659	19,670
პერიოდი 01/01/2021	21,742	1,085	33,651	7,659	19,670
შემოსვლა	-	1,186	20,462	6,143	-
ცვეთა	(2,980)	(419)	(11,361)	(4,265)	(2,657)
ჩამოწერა	-	-	-	(3,614)	-
პერიოდი 31/12/2021	18,762	1,853	42,751	5,924	17,013
პერიოდი 01/01/2022	18,762	1,853	42,751	5,924	17,013
შემოსვლა	3,664	-	12,979	2,410	18,146
ცვეთა	(231)	(460)	(14,006)	(4,867)	(4,128)
ჩამოწერა	-	-	-	-	(5,632)
პერიოდი 31/12/2022	22,195	1,392	41,724	3,466	25,398

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021	2020
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მოთხოვნა	770,537	638,126	907,954
სულ	770,537	638,126	907,954

5. სხვა მიმდინარე აქტივები

	2021	2021	2020
გადახდილი ავანსი	38,262	33,301	26,230
სხვა მოთხოვნები	91,454	36,023	14,114
სულ	129,717	69,325	40,344

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	89,315	37,447	34,927
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	100,564	25,369	32,049
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	22,311
მიღებული ავანსები	1,157,095	1,242,694	1,106,680
სხვა ვალდებულებები	16,821	9,528	39,198
სულ	1,363,795	1,315,037	1,235,165

7. ამონაგები

	2022	2021
შემოსავალი საკუთრივ მომსახურებიდან	5,135,148	3,514,289
სულ	5,135,148	3,514,289

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2,852,688)	(2,198,431)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(23,122)	(21,681)
იჯარის ხარჯი	(234,785)	(194,198)
საპენსიო ხარჯი	(58,930.13)	(43,222.14)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	(65,927)	(50,557)
სამეურნეო ხარჯი	(17,362)	(16,321)
საკონსულტაციო ხარჯი	(26,933)	(40,412)
პროგრამული მომსახურება	(45,073)	(170,296)
საწვავის ხარჯი	(1,179,398)	(750,617)
მარკეტინგული ხარჯი	(2,597)	(1,063)
სკურიერო-სატრანსპორტო მომსახურება	(143,274)	(101,873)
ავტომობილის რემონტის ხარჯი	(16,025)	(20,822)
ავტომობილის იჯარის ხარჯი	(28,919)	(15,117)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(123,890)	(72,644)
სხვა ხარჯი	(123,916)	(54,697)
სულ	(4,942,838)	(3,751,949)

9. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	2022	2021
საკუროსო სხვაობა	(3,130)	(819)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(9,575)	104,655
სულ	(12,705)	103,836

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2023 წლის 30 სექტემბერს.

შპს ონგეი

დირექტორი: თამარ გოგოლაშვილი

